

შ ა ს ი:
წლიური 7 მანეთი
ნახევარი წლით 4 მანეთი
თვითწლით 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-
ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და-
ნარჩენი კიდევ ნაწილწლითა, საზღვარგარეთ წლიურათ
14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვითწლით 6 აბაზი.

ოთხშაბათი, 20 ნოემბერი.
მისამართი: Кутайск, редакция газеты „მკრი“
Ивановская, д. Чиладзе.

მკრი წელიწადი უკრი გაზეთი

ტელეფონი № 149.

„მკრი“
18 და 19 ნოემბერს.
20 თვითწლი და კვლევილი იქნება.

I.
კატეგორია.
II.
წმ. მარკოზის ტაძარი
გ ე ნ ე ც ი ა შ ი .

III.
ქ ა ლ ი ს მ ა მ ა
3 მოკმე. დრამა.
IV.
საქმროს გადასავალი
კომიკური.

V.
პროგრამის გარეთ:
დ ე ლ ი ს ს ა ფ ლ ა გ ზ ე
2 მოკ. ძლიერი დრამა
„ამბროზიოსი“ ოქროს სერიიდან.

დრამა
ბიბერი
ტრიკო
მალდი.
პაპაშა დამარცხებული ამხანაგობა
ს. მ. პირაკოშვილი
ლ. ბ. გ. მკანოვი

მიღებულია დიდებული
საზამთრო
საქონელი

შაბათობით იყიდება
ი ა შ ა ტ ი
ნ ა ტ რ ე ბ ი .

1913 წელი.

ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლი-
ტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი

„მკრი“

გაზეთის ფასი:

ერთი წლით 7 მანეთი,
ნახევარი წლით 4 მანეთი,
ერთი თვით 4 აბაზი.

და ცალკე ნუმრის 1 შაური,
წლიური ხელისმომწერა გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხა-
დონ. ხელისმომწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენი ნაწილ-ნაწილად. სოფ-
ლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.
მისამართი: Кутайск—редак. газ. „Ери“. Ивановская, д. В. Чиладзе.
ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლად ამ მისამართით უნდა გამოი-
გზავნოს: Кутайск, Кантора газ. „Ери“.
გაზ. „ერის“ კანტორა ღიაა დღის 9—2 და ნაშვადღევს 5—7 საათად.
კვირა-ღამე დღეებში დღის 8—12.

გადაცალკეობიდან 4 წლის თავზე ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, ქუთაისში
მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წარება და პანაშვიდი

ყარამან ბესარიონის ძის დათეშობის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გან-
სვენებულის მეუღლე და შვილები.

გაუბედურებულნი ცოლშვილი და დედამა, გულმოკლული ძმები, დე-
ბი, ძმები და სიძე თავზარდაცემულნი ტეხნიკის

დავით პეტრეს ძის წულგისკირის

მოულოდნელის სიკვდილით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ამ სა-
მწუხარო ამბავს.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს ექვს საათზე, დადიანის ქუჩაზე, სა-
კუთარ სახლში.
დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

დიდი იაფი პაჭრობა.

მოსკოვის საზარტლო მაღაზიაში

(გორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართლებროს ქვეშ)

18 ნოემბრიდან გაიხსნება

დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩიბუხისა და
ყოველგვარი ფართოფეხის ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი
თვით ღირებულებიან. ფასი უცვლელი.

პატივისცემით გაბუნა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

კმელებმა ხელისმომწერა ქუთაისის „სასოფლო გაზეთზე“

24 ამ თვეს შესრულებულია ქუთაისის არსებობის ერთი წელიწადი,
მიიღება ხელისმომწერა 1914 წლისათვის. წლიური ფასი ქუთაისისა 4 მანეთი,
ნახევარი წლის 2 მანეთი. ფულის შემოტანა შეიძლება ორ ჯერად: 2 მანეთი
დაკვეთისთანავე, 2 მანეთი 1 მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერს გაეგზავნება ბოსტნეულობის და საკვები ბაღების
თესვები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Кутайск, Сельскохозяйственная
школа Александру Шарашидзе.

გ ა მ ო - ც ე მ ა „ს ო რ ა პ ა ნ ი ს ა“
და ი ბ ე ზ დ ა და გ ა მ ო ვ ი დ ა გ ა ს ა ყ ი დ ა თ

კედლის კალენდარი 1914 წ.

შედგენილი გრ. ჩაგვანის მიერ
ფასი 2 აბაზი

კალენდრის კარდონი დაგეგმილია დიდიგრაფიისა და ფერ-
საღებავით სუფთად და ღამაზად.

სახალსო კალენდარი 1914 წ.

დასურათებული.
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. ფასი 1 აბაზი.

კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან.
ვისაც პარტიით ეიდეგა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
თფილისი, მადათფისი კენჭი, სტამბა „საგანა“.

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიპებით.

მუღმივი საწოლებით

თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხილთან.

ავთომოტორებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ .
კ. ა. შინაგა—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. 1—2
გ. ს. ნადარსკ—შინაგანი და ბავშვის 10—12
ს. ა. რელიგიონი—დოსტაჟი, ქალთა, საბავშვო 11—12
მ. დ. ბუთაშვილი—კანის, ათაშინი, ვენერა 12—2
გ. ს. ჯოდოშვილი—საბავშვო, ქალთა და შინაგ. 12 1/2 2

ს ა ლ ა მ ო თ
გ. ჯ. ჯოდოშვილი—თვალის 4 1/2—5 1/2
გ. ა. ჯოდოშვილი—საბავშვო, ქალთა და შინაგ. 5 1/2—6 1/2
სამკურნალოთა მკურნალობა საჯ.—საანალოზა კაბანეთი: სისხლის, შარ-
ბის, ნახველისა და სხვ. შესაძლებელია. ძირის შემოწმება, ყვავილის აცრა,
606—914 შესახებ კონსულტაციური. არის ცალკე ოთახები მძიმე ავთომოტო-
რისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აბრაქა და კონსულტაცია მორი-
გებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტად. აქიპთა მუღმივი მორიგობა. ტელე-
ფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჯოდოშვილი. წ.

კ. ა. თეთრის ქუჩა, გსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გა-
მოსულ პანაშვილებს

პ ა რ ო ს ი { 25 ცალი 3 შ. ავიდეს როგორც სხვა ქაღალდები ისე
10 — 6 კ. ქუთაისში.

პაპაროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თეთრისა; სასიამოო სუნითა და
საუცხოო გემოვნებით.

თეთრის ქარხანა მ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა .
თ ფ ი ლ ი ს ა .

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირებულისა, რუსეთისა და საზღვარგარე-
თის საუკეთესო ქარხნებისა და უკანასკნელი მიღების. გაყიდვა დაიწყება დღიდან
მოკლე ვადით ქ. ქუთაისში: ბუღვარის პირდაპირ, მმ. ოცხვების შე-
ნობაში, ახლადიანის ბაზაის უკანა განყოფილებაში, სადაც ავიდება შემდეგი
ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან.
დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშ-
ვის ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის
შარვლები და პიჯაკი, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო
ფირმების მრავალგვარი, ზეწვის მუფთები ქუდები და შალები ღამის მრავალ-
გვარი, აბრეშუმის იუპონები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წილები, ზედა-
წილები და ზედაწილის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალისა და ბავშვის
რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქაბრები და საქაბრე რე-
ზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაქერისათვის და აგრეთვე შხა შემოსაქერი
ქალთა და ბავშვთათვის. კორსეტები და სხვა, ამასთანავე მოგვასწავს პატივცემულ
საზოგადოებას, რომ

ასევე დიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდებული ყოველნაირი ანალოგიის საქონელი
და შხა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილებისა და ასეთებს
გლეხობათ ყოველდღე. ფასები ხელმისაწვდომია და უფაჩრით.
პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

აქიმი კ. თ. ტყეშელაშვილი.
ღებულობს ავთომოტორებს
(შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუ-
შინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის
ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი ბ. ა. მიჩაიკოვა დროებით
რუსეთში წასვლის გამო
შეწყვიტა ავთომოტორების მიღება.

აქიმი ი. ჩარეკოვი იღებს კანისა
და ვენერიულ ავთომო-
ტორებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით
12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქი-
მი საავთომოტოროშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის
გვერდით, ფირალდის სახლში. თ.

დაბა ზესტაფონი

აქიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავთომოტორებს: შინაგანის და ბავშ-
თა, პარასკევსა და კვირის დღის 9—1
საათამდე. თედორე არდიშვილის სახლი,
რკ.ზ. სადგურის პირდაპირ.

აქიმი გ. ა. მიფარიალი.
ღებულობს შინაგანი,
ბავშვისა და ვენერიულ ავთომოტორებს.
დღის 9—12 საათ. და საღამოს 5—7
საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი
№ 30 ტელეფონი № 150. თ.

კბილის აქიმი მახარაშვილი გა-
დავდა სტეფა-
ნოვის სახლში, ბალახანის ქუჩის დასა-
წყისი.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგა-
ნის, ბავშვის, აგრეთვე ყე-
ლის, ცხვირისა და ყურის სნეულებით
ავთომოტორებს. თფილისის ქუჩა სახლი ნი-
ქარაძისა.

შემშოლობის გამო.

შემშოლობის შესახებ პრესაში რო-
გორდაც შესწავა ლაპარაკი. კიანაია
არაფერი დაწერია, მხოლოდ ამ ეამათ
ერთმა „თემმა“ გავავსენა ის საშინლე-
ბა, რომელიც შემშოლობის სახით გა-
ნდგურებს უქადის დასავლეთ საქარ-
თის მცხოვრებთა ერთ ნაწილს. მი-
ყურდა სოფელიც, იქ სამარისებური დუ-
მილია, რა ამბავი? ნუთუ საფრთხე
თავიდან მოვიშორეთ და აღარაფერია
სამწუხარო, საგზალო? პირიქით, საშ-
ნელება მზათაა მეტი სიმწვავით და-
გვატყდეს თავს. რამდენიც ახლოვდება
ზამთრის სუხი, მით უფრო და უფრო
საგრძნობელი ხდება მოუსავლობის შე-
დეგები, მაგრამ სოფლიდან მიიწე არა
იმისისა. ვინც ჩვენი სოფლების ყოფა-
ცხოვრებას გაცნობია და სოფლის ინ-
ტელიგენციის მკონარობას ჩაკერებია,
იმას ისიც ეცოდინება, რომ სოფლათ
ყრუ გმინვა მეფობს, მაგრამ მას გამა-
მზაურებელი არა ყავს, რომელიც შე-
იძლებს სოფლის ღირ-ვარაში, მისი გა-
კვირებისა და ჰაზარდების ამბავი და-
ლაქში მცხოვრებთ ამცნოს. აი, სწო-
რეთ აქ უნდა ვეძიოთ უპირველეს ყოვ-
ლისა იმ დუმილის გამომწვევი მიზეზე-
ბი, რომელიც ერთი ხანია ქართულ
პრესაში არსებობს. მართლაც, რამდენ
ჯერ მოგვწოდებთ სოფლის კორესპონ-
დენტებს, ქუთათურმა გაზეთმა „მერკ-
ხალმა“ განსაკუთრებულიათუ შეუქვეთა
თავის პრივილეგიურ თანამშრომლებს,

რომ შიმშილობის შესახებ ამბები მო-
ეწოდებოდა და აქამდე არაფერი ჩანს.
სდუმან კორესპონდენტები და პრესაც
იძულებულია სდუმდეს. ესაა მიზეზი
იმისა, რომ აქამდე ნამდვილი ცნობები
ვერ მოგვიკრეფია დამწეულთა რაოდე-
ნობის შესახებ, წყლულის სიღრმე კი
სავსებით ვერ გავიკვლია პროვინ-
ციელი ინტელიგენციის გულცივობის
გამო და რაღა გასაკვირველია, რომ
უბედურების თავიდან ამაცილებელი მი-
ზეზი, სახსარი და საშუალება გამოუ-
ნახავი იყოს ჯერჯერობით. უმთავრესი
ბრალი აქ სოფლის მასწავლებელთ მი-
უძღვის, რომელთაც მდგომარეობის გა-
მოც თუ სხვა მიზეზებით მართებთ ყო-
ველს ამგვარ მოვლენას დაბა-სოფლათ
თვალყური აღევნონ და სოფლის ქირ-
ვარში პრესის საშუალებით ფართო მა-
სიას, საზოგადოებისა და საზოგადო-
თუ ოფიციალურ დაწესებულებათა ყუ-
რამდი მიიყვანონ, თუ არა ყველამ უწე-
ყის, რომ სოფლის მასწავლებლის გარ-
და ასეთს მნიშვნელოვან საქმეს სოფლათ
სხვას ვერავის ანდობ, რადგან მის მე-
ტი არც არავინ მოიპოვება ხშირად, რო-
მელსაც საზოგადოებისადმი სიყვარული
ასულდგმულებდეს და მასთან შედგოს
სოფლის ვითარების სისწორით აღნიშნა
და გაზეთის საშუალებით მისი გამო-
ქვეყნება. ჩვენმა სოფლის მასწავლებ-
ლებმა სწორედ აქ გამოიჩინეს თავისი
გულცივობა ამ საზოგადო საშინელ მო-
ვლენისადმი, და მაშინ, როდესაც თითქ-
მის იმერეთის ყოველ სოფელშია ამ
ჟამით შკოლა და ყოველ სოფელს ყავს
მასწავლებელი. ბევრი სოფელია, საიდა-
ნაც შიმშილობის შესახებ არაფერი ამ-
ბავი მოგვსვლია არც ჩვენ, არც სხვას.
ყველამ უწყის, თუ რაგვარ მდგომარეო-
ბაში არიან ჩვენი რედაქციები ნიუთიერი
მხრით... იციან ისიც, რომ დასავლეთი
საქართველო პატარა მხარეა, მაგრამ
ქართულ გაზეთს მაინც შეძლება არ
აქვს ამ მხარის ყოველ სოფელში სა-
კუთარი, სპეციალური კორესპონდენ-
ტები დაგზავნას და გაზის ხარჯიც თავს
იღვას, ამგვარათ თავისთავით ცხადია,
რომ გაზეთები იმდენ პრაგინციულ კო-
რესპონდენტებზე ამყარებენ, რომელთაც
ხშირად სოფლის მასწავლებელნი შე-
ადგენენ, მაგრამ, როგორც ხედავთ,

იმედები არ გამართლდა. მაგალითად.
ჩვენი გაზეთისთვის ზოგს სულ არაფერი
მოუწერია და ზოგმაც მოსწერა, მაგრამ
შიმშილობის შესახებ კი არა, იმის შე-
სახებ, თუ ის სოფელი, სადაც ის მსა-
ხურობს, რამდენი მანძილის სიშორეზე
ძევს ქუთაისიდან, ან რომელი მხრით
რა საზღვრავს, რამდენი კოლონი მო-
სახლეთა და მეტი არაფერი. გვგონებთ
დამწეულ სოფელს მოუსწავლობა სრუ-
ლიდაც არ აწუხებდეს. სხვამ ვინ უნ-
და მიხედოს სოფელს, ვინ უნდა გა-
მოაკვლიოს მისი მდგომარეობა სისწო-
რით? დაასახელოს საკრედიტო ამხანაგობანი
და ქუთაისის სამეურნეო საზოგადოება,
მაგრამ არც ამ უკანასკნელს შესწევს იმდენი
აქლა დიდება, რომ საკუთარი ძალო-
რითა და ინიციატივით მოაწერს რიგის
საქმე, დარჩა საკრედიტო ამხანაგობანი,
რომელთაც განყოფილებანიც თუმცა ბევრ
განაა, მაგრამ არა ყველგან, და ჩვენ კი
ყველა სოფლის ქირვარაში გვსურს ვი-
ცოდეთ. რაც შეეხება ოფიციალურ უწე-
ყებებს, უნდა სწავლობდით თქვენსა, რომ
ჩვენთან სიხშირით არც აქამდე
გვყობოდნენ ესენი ჩვენი დაბა-სოფლის
ქირვარაში და რა გასაკვირალია, თუ მათ
არც ამ შემთხვევაში უღალატონ ჩვეუ-
ლებას. მაგალითად, ამას წინათ რედა-
ქციაში შემოვიდა ერთი მომრიგებელი
შეამდგომავანი, ვკითხეთ თუ რას ები-
რება მთავრობათაში. მან გვიამბო: —
„კრება გვქონდა მაზრის უფროსის თა-
ვჯდომარეობით, გადავსწავრეთ მთავ-
რობას ვსთხოვეთ 75 ათასი მანეთი
მოგვცეს, ამ ფულით განზრახვა გვაქვს
მაზრაში სამს ადგილას სიმიდის საწყობა
გავხსნათ; ძალიან ღარიბს უფასოთ და-
ვურიგეთ სიმიდი, ცოტა უფრო შეძლე-
ბულს იათუ და ნისიათა“. მაგრამ მ-მა
შეამდგომა ეს რაი სიტყვა, მას აქით
უკვე ორ თვეზე მეტია და ხსენებულ
მაზრაში ხსენებული განზრახვის შესახებ
ლაპარაკითაც აღარ ლაპარაკობ, არა-
თუ სისრულეში არ მოუყვანიათ იგი.
ვიცით მხოლოდ, რომ რამდენიმე სო-
ფელში გამოუცხადეს—სამი წლის ვადით
ფულს გასესხებოთ, და ერთხელ ასეთი
აღებული სესხით დაშინებულმა ხალხმა
ბევრგან ამ წინადადებაზეც უარი განა-
ცხადა. დახმარება კი რაც შეიძლება დროი-
თაა საქირო. კავკასიის დეპუტატებს

სათათფიროში შექვეთება, მაგრამ,
ხომ გავგონებთ,— „სანამ პეტრე მოვი-
დოდა, პავლეს ტყვე გააძევეს“, და
ვინც რუსეთის „პარლამენტის“ წევრულე-
ბათ გაეცნობა, იგი დაგვთანხმდება, რომ
აქ გადაწყვეტილ-დადსტურებული და
ჩვენსკენ წამოსული დახმარება მკვერბს
თუ მოუსწრებს. თვარა ცოცხლებს არ
გამოადგებათ. ამგვართაა დღესდღეობით
საქმე. საქიროა, ჩვენ თვით ვიღონოთ
რამე საკუთარი ძალორით, როგორც
არა ერთჯერ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი,
საქიროა, ჩვენივე საზოგადოების ფართო
წაწილმა გამოიღოს ყურიდან მამბა, სოფ-
ლის გოდებას უსმინოს და შეძლების-
დაგვართა დახმარებას მას. კერძო პირებ-
მაც და ჩვენმა საზოგადო-საქველმო-
ქმედო დაწესებულებებმაც, საქიროა,
ამ შემთხვევაში მეტი სიხშირულე გამოი-
ჩინონ და იღონონ რამე საშინელების
თავიდან ასაძღენათ. რატომ მაინცადა-
მაინც „თემის“ თქმის არ იყოს საშობო-
ლოს გარედან უნდა გვესმას ყოინა და
საშობოლოში მყოფთა კი უნდა გვეძინოს?
„თემი“ იმის იძლევა, რაც მას შეუძლია,
იგი გვპირდება ერთი საინტერესო შე-
დგენილი ნუმრის შემოსავალს შევსწირავ
ამ საქმეს, სხვებიც მოგვეძვებიან, რო-
მელნიც მეტს თუ არა, „თემზე“ ნა-
კლები წვლილის გამოღებას მაინც შე-
სძლებენ. საქიროა, ადგილობრივმა წერა-
კიხვის განყოფილების გამგებამა და
სამეურნეო საზოგადოებამ ამ მოვლენას
სერიოზული ანგარიში გაუწიონ და და-
არსონ ვინაღ, რომლის სასარგებლოთაც
ყოველი ქართველი თავის წვლილს გა-
მოიტებს და ამგვართა დახმარება თავის
დამწეულ თანამომეფთ. რაც შეეხება
შიმშილობის შესახებ უტყუარი ცნობების
შეკრებას, ერთჯერ კიდევ მოვუწოდებთ
ჩვენს პრაგინციულ თანამომეფებსა
და სოფლის მასწავლებელთ—რაც შეი-
ძლება უტყუარი და დაწვრილებითი ცნო-
ბები მოაწოდონ გაზეთს, ან და იმ და-
წვებულებებს მაინც, რომელიც დამწე-
ულთა სასარგებლოთ შეწირულობის შე-
კრებას იცისრებს. ამერი.

ქართული პრესა.

დასვლების მიერ სიტყვის ბანზე აგდე-
ბა, ეს მათი ჩვეულებრივი ფანდებია
ჟამა უძღულებს. სას, როდესაც სინამდვი-
ლე მათ ლალატობს და თავდაყირა ცა-

ბულგარეთი და ავსტრია სამხედრო
კონვენციის დადების შესახებ ვერ შე-
თანხმდნენ.
— ცნობა, — მეფე ფერდინანდი ბულ-
გარეთიდან ისევ ვენას მიდისო.
— ოსმალეთის მთავრობის განკარ-
გულებით ფრანკიდან ბულგარელები გადა-
სახლეს.

რიელ სიკრცეში კილიან. ამ ჩვეულები-
სათვის არც ახლა უღალატებია პოლი-
ტიკურ მახინჯებს და „იმერის“ მიერ
მათ წინააღმდეგ დაწერილი წერილის
საპასუხოთ ლოზი-ყორის მოსდებთან და
სულ სხვას სწერენ. ალბათ არ მოდის
ვარაუდში გამოართვის უკანასკნელი გა-
მოსვლა მათ წინააღმდეგ, ცდილობენ სა-
კითხს გვერდი აუხვიონ და კითხვა სულ
სხვა „პოლიუსზე“ გადაიტანონ. ამა ყუ-
რი დაუგდეთ:

„აღიდათ ცდილობენ ბ. გომართლის
„ავტორიტეტი“ გამართლონ თავისი
საგმირო საარჩევნო მოღვაწეობა...“
სწერეს „ჩვენი ღრის გამიგები“ ჩვენ-
ზე და ბოლოს სტატისტიკისთვისაც წაუ-
პოტინებიათ ხელი.

რაც შეეხება „ავტორიტეტი“ სა-
რგებლობას ამაზე სჯობს სდუმდეთ, რად-
გან ავტორიტეტით სარგებლობა ვისი
საქმეცა, ეს თქვენი კარგათ უწყით,
მხოლოდ, თუ დმერთი: გვამთავრებსასხუთ,
მაინც რა პასუხს აძლევთ იგი. გომარ-
თელს? როგორც ვსწერდით, ბრალდებ-
ლის მტკიცე დებულებათ, რომ ბრალ-
დებული ლანდლა-თრევეთა და „რენე-
გატის“ მაგვარი სიტყვებით გაუმასპინდ-
დეს, ეს ხომ თავის მართლებას არ შეი-
ცავს, თქვენ კი რა ზომები მიიღეთ დღე
მდინ იმ ბრალდების უარსაყვადთ, რომე-
ლიც გომართელმა წამოგაყენათ? ლანდლა-
თრევე ხომ ყოველ ბრიყვს შეუძლია,
რომელიც საბაკეპნო გამხდარა, თქვენ
კი თვით იქნებთ მავალთა აბეკუნებას
და ნუთუ თქვენსა და ხსენებულ ბრიყვს
შორის არაფერი განსხვავებაა? პასუხი
არსებითი, რა შვამია კონკრეტული, ეს ხომ
ბავშური წილადობლა გამოდის და თუ
მეტი არა შეგიძლიათ რა, ბავშურ გუ-
ლუბრყვილობას მაინც ნუ კარგვთ და

— სერბისა და სლავურის შორის
რუსეთის წინააღმდეგ საინტერესო ხელ
შეკრულება დაიდვა.
— მექსიკაში კვლავ დიდი არეულო-
ბაა.
— ავსტრიის ზოგიერთ გაზეთში მეფე
ფერდინანდის წინააღმდეგ ცხარე წერი-
ლები ისტამბება.

თქვენი უბედურება პირდაპირ აღიარეთ,
თვარა „აბაღუბდამ“ აქამდე რა ხეირი
დაგვყარათ, რომ აწი გარგოსთ?

ახალი ამბავი.

ქუთაისის ჩამოვიდნენ ლეხუმიდან სოფ.
ტვიშის, ქორეითისა და ვანის საზოგადო-
ების მიერ არჩეული რწმუნებულები,
რომელნიც უგ. თავ. მინგრელსკისთან
მიემგზავრებთან, რომ წარუდგინონ ამ
სოფლების მცხოვრებთა საბუთები და
„კუჭები“ იმ მიწებზე, რომელიც ამას
წინათ თავადის ვეკილმა მოხერხებით
თავადის სახელზე დაიმიჯნა. ამ საქმის
თაობაზე, როგორც ვიცით, დეპუტატი
გელგვანი იყო თავადთან და იგიც და-
პირდა, უკეთუ მცხოვრებნი რამე სა-
ბუთებს წარმოადგენენ იმისას, რომ ისი-
ნი ფლობენ ამ მიწებს, მე, რასაკვირ-
ველია, თანახმა ვარ მიწები დაებრუ-
ნოს მემბატონებესო. როგორც გადმო-
გვცეს „კუჭები“, თუ სხვა საბუთები
ოქისა და მეტის წლის ძალისა არისო
და დამიჯენა კი ამ რამდენიმე წლის
წინათ მომხდარა.

◆ მრეწველობისა და ვაჭრობის წარ-
მომადგენელთა საბჭომ წინადადება მი-
სცა შავიქვის მრეწველთა საბჭოს მო-
წაწილება მიიღოს სრულიად რუსეთის
მრეწველობის გამოფენაში, რომელიც
განზრახულია 1917 წ. ქ. ნიენი-ნოვგო-
როდში.

◆ შავიქვის მრეწველთა საბჭოს მო-
რიგა კრება ექნება 22 ნოემბერს ქუ-
თაისში.

◆ მიხეილის საადგილმამულო ბანკში
თავისუფალი ტენიკისის ადგილი.
◆ ცნობილ ტერ-გასპარიანს, მეორე

ეროვნული საკითხი.

3) რუსეთის იმპერია.
ახ. კრასი 31 13 №

1897 წლის აღწერით რუსეთის იმპე-
რიაში ცხოვრობდა სულ 128,924,289
კაცი. მათ შორის ველიკორუსი იყო
55,678,000, უკრაინელი ან მალოროსი,
22,415,000, პოლონელი 7,931,000, ბე-
ლორუსი 5,886,000, ებრაელი 5,063,000,
თათარი 3,738,000, გერმანელი 1790000,
ლიტველი 1,436,000, ლატიაში 1486000,
ესტი 1,003,000, კირგიზი 4,084,000,
ბაშკირი და ტბტარი 1,439,000, მორ-
და 1,024,000, ჩუვაში 344,000, ქართ-
ველი 1,342,000, სომეხი 1,173,091,
ლეკი 601,047, ჩაჩანი და ჩეჩქესი
491,000 და სხ.

აქიდან ჩანს, რომ ველიკოროსთა
რიცხვი მცხოვრებთა 43 პროცენტსაც
არ შეადგენდა. მაგრამ ოფიციალური
სტატისტიკა ველიკოროსებთ სავსის
უკრაინელთ, რომელნიც წარმოადგენენ
დაახლოებით 17%-ს, და ბელორუსებს,
რომელნიც შეადგენდნენ 4%-ს მცხოვ-
რებთა.

ველიკოროსები ცხოვრობენ ევროპის
რუსეთის შუაგულში და ჩრდილო-აღმო-
სავლეთით. ხაზი რომ გაავლოთ მკოვი-
დან დონის როსტოვამდე, ამ ხაზის და-
სავლეთით აღარ ქარბობს ველიკოროსთა
რიცხვი. მაშასადამე, ველიკოროსებმა ვერ
ჩაიგდეს ხელში მგზობლების ტერიტორია
ვერც მას შემდეგ, როდესაც შეუერთეს
ისინი რუსეთის იმპერიას. (ახ. წე-
რილი „სლავინსკის“ ხსენებულ კრე-
ბულში).

აქიდან ცხადია, რომ ერების იმგვარი
არევა და გათქვეფა, რომელზეც მოგვი-
თხრობს ბ. „ნარაიქი“, მართკ ზღაპარია.

და, ცხადია ისიც, რომ შეუძლებელია
რუსეთი იყოს ერთსა და იმავე დროს
ცენტრალისტურიცა და დემოკრატიუ-
ლიც.

ამგვარი ცენტრალიზაცია საფრანგეთ-
შიც კი სჭირს, თუმცა იქ შედარებით
თანაკავალა ერაგვარობაა.

საიმპერია პარლამენტის დეპუტატთა
რაოდენობა თუ თანაწირობა და სამართ-
ლიანთა იქნება განაწილებული სხვადა-
სხვა ერს შორის, რუს დეპუტატთა რიცხ-
ვი 43%-ს არ აღემატება და პარლა-
მენტის უმეტესობა მოითხოვს იმპერიის
დანაწილებას ეროვნულ-ტერიტორიულურ
ავტონომიებათ და არა საოლქო ადმინისტრ-
რაციულ თვითმართველობებთან, რო-
გორც ფიქრობს ბ. „ნარაიქი“.

და, თუ დებუტატთა რიცხვი სისწო-
რით არ იქნება განაწილებული, მაშინ
კი პარლამენტის უმეტესობა იძულებუ-
ლი იქნება ძალის მიმართოს, რომ ალაგ-
მოს დემენტრალისტური ტენდენცია
განაპირა ქვეყნებისა. ამას კი მოყვება
შედგვათ ბიუროკრატის გაძლიერება.
ერთი სიტყვით, დამყარდება იმ გვარი
წყწყობილება, როგორც დაამყარეს
ოსმალეთში ახალგაზდა თურქებმა.

ბ. „ნარაიქი“ და მისი ამხანაგები, რო-
გორც ზევიზ ვსთქვით, არ აღიარებენ
ბრიუნის პარტიტაგზე სოციალდემო-
კრატის მიერ აღსარებულ პრინციპს.
ისინი უარყაფენ ეროვნულ-ტერიტორი-
ალურ ავტონომიას და აღიარებენ აგრე-
წოდებულ ოლქობრივს, ბევრი ერისაგან
შემდგარს ადმინისტრაციული ტერიტორიის,
რომელსაც არ უნდა ქონდეს საკანონ-
მდებლო უფლება. სწორედ ამ უარყა-
ფამ არია ავსტრიის საქმეები!

და, თუ პოლიტიკური ცხოვრება ავსტ-
რიისა, სადაც მართკ რვა ერია, წარ-
მოადგენს დაუსრულებელი ეროვნული
შუღლისა და მტრობის სურათს, კიდევ
უარესი არ იქნება რუსეთის იმპერია-
ში, სადაც ასზე მეტი ერი ცხოვ-
რობს!

ავსტრიის დემოკრატიული პარტიები
თანდათან რწმუნდებიან, რომ აუცილე-
ბელია ეროვნული გამოიჯნა, ავსტრიის
გარდაქმნა ეროვნულ-ტერიტორიულურ
ავტონომიების კავშირით. მით უფრო

საქირო იქნება ამგვარი გამოიჯნა რუსე-
თის იმპერიაში. და, რომ გამოიჯნა შესა-
ძლებელიც არის და საქიროც, ამის და-
სამტკიცებელ საბუთებს აღვნიშნავ შე-
მდეგ წერილებში.

უკრაინის უზარმაზარ ტერიტორიას
შეადგენენ შემდეგი გუბერნიები და მათი
ნაწილები:

- 1) ვოლინის გუბერნია, რომელსაც აკ-
რავს ნაწილი ლიუბლინის გუბერნიისა,
სელეცისა (ჩრდილო-დასავლეთით), გრო-
დნოსი (ჩრდილოეთით), მინსკის (ჩრდი-
ლოეთით). აქ ცხოვრობს 11% პოლო-
ნელი.
- 2) პოდოლის გუბერნია, აქ ცხოვრობს
10% პოლონელი.
- 3) ხერსონის გუბერნია, რომელიც
შეიცავს ზღვის დიდ ქალაქს აღესას.
- 4) ეკატერინოსლავის გუბერნია, ხერ-
სონის გუბერნიის აღმოსავლეთით.
- 5) ნაწილი ტაბორის გუბერნიისა.
- 6) პოლტავის გუბერნია.
- 7) ხარკოვის გუბერნია.
- 8) მეტი წილი ჩერნიგოვის გუბერნი-
ისა დედაქალაქით—ჩერნიგოვით, რომე-
ლიც მდებარეობს დნებრის ტოტზე დეს-
ნაზე.
- 9) აღმოსავლეთი ნაწილები ვორონე-
ის გუბერნიისა და დონის ჯარის
ოლქისა.
10. დიდი ნაწილი ყუბანის ოლქისა.
- 11) ჩერნომორიის გუბერნიის ნაწილი.
- 12) სტავროპოლის გუბერნიის ნაწი-
ლი.

ასე საზღვრავს პროფ. გრუშევსკი უკრა-
ინას. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ცხოვ-
რობს 26 მილიონი მალოროსი.

მაგრამ, ვფიქრობ, ასეთს დიდ ტერი-
ტორიას არ დაუთმობენ მალოროსებს,
რადგან მაშინ ისინი გადაეცემებოდნენ
და გზას მოუჭრიდნენ შავი ზღვისკენ ვე-
ლიკოროსებს, ე. ი. კურსკის გუბერნი-
ისა, ჩერნიგოვის გუბერნიის ნაწილისა,
ორიოლისა, ტამბოვისა, პენზისა, სარა-
ტოვისა, სმოლენსკისა, კალუგის, რია-
ზანისა და სხ. გუბერნიათა მცხოვრებთ,

რომელთაც სჭირდებოდათ შავი ზღვისკენ
პირდაპირი გზა.

მაგრამ, რამდენიც უნდა ჩამოათალონ,
უკრაინა მაინც უზარმაზარი იქნება სხვა
ავტონომიებთან შედარებით და მას წი-
ლათ ხედება ოდესმე დიდი პოლიტიკური
როლის ასრულება.

ისტორიის პირველ დროს უკრაინელ-
ნი, ან მალოროსნი, ერთ სახელმწიფოს
შეადგენდნენ ველიკოროსებთან და ბელო-
რუსებთან და წინ უძღოდნენ უკანასკ-
ნელთ. შემდეგ ველიკოროსთა და ბელო-
რუსთა ქვეყნები ჩამოშორდნენ, უკრაინა
თანდათან დასუსტდა აღმოსავლეთის გულ
ხალხთა შემოსევათა გამო და შეუერთდა
პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოს, რო-
მელთანაც ცხოვრობდა რამდენიმე საუ-
კუნის განმავლობაში. დიდი სახალხო
მოძრაობა, წარმოშობილი პოლონეთის
სოციალურისა და ეროვნული მიზეზე-
ბით, დასრულდა 1654 წ. უკრაინის აღ-
მოსავლეთის შეერთებით მოსკოვის სა-
ხელმწიფოსთან. დასავლეთი ნაწილი კი
ჯერ კიდევ პოლონეთს შერჩა და მხო-
ლოდ მეფობამეტე საუკუნის ბოლოს შე-
უერთდა რუსეთს და ისიც არა სრულათ,
რადგან გალიციის უკრაინა და ბუკოვი-
ნი შეიერთა ავსტრიამ.

უკრაინული საკითხი რუსეთში იწყება
1654 წლიდან, რადგან დიდი წინააღ-
მდეგობა სუფევდა უკრაინელების სურ-
ვილთა და მოსკოვის სახელმწიფოს პო-
ლიტიკას შორის.

კახაკთა ორგანიზაციას, ან „სტარში-
ნას“, იმიტომ უნდადა გაეთავისუფლე-
ბია თავი პოლონეთის ბატონობისაგან
და ეძებდა მოსკოვის მფარველობას, რომ
ავტონომიის განხორციელებას ცდილობ-
და. ამასთანავე კი „სტარშინაც“ და
„სტარშინის“ უფროსიც, ან გეტმანი
ხალხის მიერ უნდა ყოფილიყოვენი არჩე-
ული.

მოსკოვის მთავრობა პირველათ არ
შეხებია ავტონომიას. მაგრამ, თუმცა
კახაკთა „სტარშინა“ ცდილობდა დაე-
ცვა ავტონომიის პრინციპი, აღსარებუ-
ლი ბოგდან ხმელნიცკისთან დადებული

ხელშეკრულობის მიერ, მოსკოვის მთავ-
რობა თანდათან კვეცდა და ზღუდავდა
ამ ავტონომიას და აძლიერებდა უკრაი-
ნაში თავისი მოხელეების გავლენას.

მთავრობამ მოინდომა ავტონომიის ხალხი
კახაკთა წინააღმდეგ, რომ ამ საშუალებით
უფრო ადვილათ გადაებირებია თავის მხარე-
ზე კახაკები, მაგრამ მისმა ცდამ ვერ გასჭრა
1668 წლის უკანასკნელთსოფლავანი იყო.
მაგრამ ვერც ამ მაგალითმა დაახვეია უკან
მოსკოვის მთავრობას.

ამ ბრძოლაში მოსკოვის მთავრობა და-
რჩა გამარჯვებული. და უკრაინას ვერ
უშველა ვერც საკუთარმა ცდამ და ვერც
პოლონეთისა, ოსმალეთისა და შვეციის
დახმარებამ. და ამის მთავარი მიზეზი იყო
წინაგანი განხეთქილება უკრაინელ ხალხსა
და კახაკთა შორის. ნახევარი საუკუნის
იუმებმა მთლად დაქანცა უკრაინა, მაგრამ
არც მოსკოვის მთავრობას მიაგო სიკეთე:
მან დაკარგა დნებრის მარჯვენა ნაპირი,
რომელიც კვლავ დაიბრუნა პოლონეთმა.
ამ ბრძოლაზე ხელი შეუშალა მოსკოვის
ადრე გაეკვლია გზა შავი ზღვისკენ.

მაგრამ უკრაინის იმ ნაწილში, რომე-
ლიც შერჩა მოსკოვს, მთავრობამ სისრუ-
ლით ასრულა თავისი წადილი: კახაკთა
„სტარშინა“, ერთი მხრით შემინებული
სასტიკი სასჯელმთავე და მეორე მხრით
გადაბირებული სხვადასხვა დაპირებითა და
დასაქმებით, დამორჩილდა. კახაკებმა
შეიძინეს ყმები და მამულები. და ხალხი,
რომელსაც აეხადა ყოველგვარი სამოქა-
ლაო უფლება და დემონა „ათი ათას
პოლიციელს“, აღარ იყო საშიშარი.

1782—1783 წ. საბოლოოთ გააუქმეს
ძველი წესწყობილება უკრაინისა, შემო-
იღეს საგუბერნიო ბიუროკრატიული და-
წესებულებანი და კახაკთა რაზმები რე-
გულიარულ ჯარებათ გარდაქმნეს.

მაგრამ მთავრობა არ დასჯერდა უკრაი-
ნელთა პოლიტიკურ დამონებას და მო-
ინდომა მათი ეროვნული ტიპის მოსპო-
ბაც.

უკვე პეტრე პირველიდან დაწყეს უკ-
რაინული წიგნებისათვის ცენზურა, რი-
მელსაც დაავალეს დემგზავსებთა უკრაი-

სამოსწავლო რაიონის ინსპექტორის გან-
საზღვრული ვადა მისცეს, საქმეები ჩა-
ბაროს ნაჩვენებ პირს და თვით სამსა-
ხუროდან გადადგეს. როგორც გადმო-
გვცეს ბევრი ოიენები ჩაუდენია ამ ბა-
ტონს თავის სამწყსოში. ორმოცდაათი
ათას მანეთადია გაფლანგული. ხშირი
იყო იმის მაგალითი, რომ ბ. გასპარი-
ანცი ცნობას იძლეოდა: —ამა და ამ სო-
ფელში შკოლის მოწყობა-გამართვა ამ-
დენი და ამდენი დაჯდა, მასწავლებლებს
ამდენი და ამდენი ჯამაგ ირი აქეთა და
სხვა ამისთანები... მაგრამ არც შკოლა
და, ცხადია, არც მასწავლებელი იქ არ
მოიძებნებოდა...

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე ქალა-
ქის თეატრში გიორგი მეფეარსილი წა-
იკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: „ნე-
ბის მათემატიკა“. ლექციის პროგ-
რაშია მსურველთა თეატრის კასიდან უფა-
სოთ ელვებოდა.

◆ სახალხო განათლების სამინისტ-
რომ აუცილებელ საჭიროებათ სცნო,
რომ, სხვათა შორის, კავკასიის სასწავ-
ლო ოლქშიც მომავალი სასწავლო წლის
დასაწყისიდან დაწყებითი შკოლები სა-
ქალაქო შკოლებათ გადაკეთდეს.

◆ თფილისში გუშინწინ გაიხსნა ქა-
ლაქების წარმომადგენელთა კრება. ქუთა-
ის ქალაქის მოურავის ი. ჩიკოვანის მი-
სალმებითი სიტყვას კრება ტაშისცემით
შეგებებია.

თფილისი.

◆ პოლიტექნიკუმი. კვირას, 17 ნო-
ემბერს, პოლიტექნიკუმის საკითხის
გამო მეფის მოადგილეს გრაფ ი. ი.
ვორონცოვ-დაშკოვს წარუდგა საწყება-
თაშორის კომისიის თავჯდომარე მ. პ.
გაქელი და გადასა მთელი მასალა
პოლიტექნიკუმისთვის აღთქმული მიწების
ლიზსება-ნაკლის შესახებ.

◆ ქუთაისის მხარის თავად-ზნაურთა
წინამძღოლის თანამდებობაზე დამტკი-
ცებული თავ. დ. თ. ნიჟარაძე კვირას
წარუდგა მეფის მოადგილეს.

◆ ლიევის პოლიტექნიკუმის საელეკტ-
რომო განყოფილება წელს ერთმა
ჩვენმა თანამემამულემ ლევან ხიზანა-
შვილმა დაასრულა.

◆ საქართველოს ეგზარხოსმა აღექსიმ,
17 ნოემბერს, პირველათ სწორა სიონის
საკათედრო ტაძარში. წივრას შემდეგ

ნული ენა რუსულისთვის. უკრაინ-
ული შკოლებში რუსულ ენაზე სწავლება
შეზღუდეს. ყველგვარს უკრაინულ სა-
ზოგადო საქმეს დასაწყისშივე სპობდენ.
და მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევ-
რიდან ეს პოლიტიკა სისტემით გარდა-
იქმნა.

განსაკუთრებით სდევნიდენ უკრაინულ
ლიტერატურას, მინისტრმა ვალდებუდა სთქვა
1863 წელს: „არ ყოფილა, არ არის და
არ იქნება უკრაინული ენა, როგორც
კულტურული ორგანო, და ამ პრინ-
ციპს საფუძვლად ეთანხმებოდა 1876 წლის
უმაღლესი ბრძანება, რომელმაც ნახევრათ
ეთნოგრაფიულ მოთხოვნათა გარდა—
მთლად აკრძალა უკრაინული ლიტერა-
ტურა. ეს უქაზი“ მხოლოდ 1906 წელს
გააუქმეს.

მაგრამ ამ დღემდე ვერ შეიწერა მალაო-
სული ლიტერატურის განვითარება. უკ-
რაინის ნაწილი მდებარეობს ავსტრიაში.
1860 წლიდან იქ გადავიდა ლიტერატუ-
რული მოძრაობა და დენამ კიდევაც უფ-
რო გააღვიძა და განავითარა უკრაინელ-
თა პოლიტიკური აზროვნება.

მაგრამ ხალხს არ შეეძლო მიეღო მონაწი-
ლეობა ამ მოძრაობაში, რადგან სასტიკათ
იყო აკრძალული ავსტრიიდან წიგნებისა და
ეურნალ-გაზეთების შემოტანა. ამიტომ
ხალხი სინდელში დარჩა და ეროვნული
გადაგვარების გზას დაადგა. და, თუმცა
ხსენებული საშინელი უქაზი“ ქალაქ-
ზე ამოშალეს, ცხოვრებაში დღესაც გა-
ნაგრძობს მოქმედებას. და უკრაინულ
ენას არ მოეგონება ის უფლება, რომე-
ლიც უფრომცირერიცხოვანსა და უკულ-
ტურო ერებსაც კი აქვთ!

თანამედროვე უკრაინულ მოძრაობას
აქვს კავშირი ძველს დემოკრატიულსა და
ავტონომიურ წესწყობილებასთან.

ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში,
როდესაც მაღალი წოდება გაპოლონელდა,
უკრაინული ეროვნული სხვა შეიარჩინა
მხოლოდ ხალხმა. შემდეგ, როდესაც მე-
თვრამეტე საუკუნეში კაზაკები გარუსდენ,
ხალხი მაინც უკრაინულ ერაფე დარჩა.
და უკრაინელთა ერის მოთხოვნილებანი

ეგზარხოსმა დამსწრეთ შესაფერი სი-
ტყვით მიმართა.

◆ პავლე თუმანოვილის თფილისის
მხარის თავად-ზნაურობის წინამძღო-
ლობისათვის თავი დაუწებებია.

ქ-იქაური.

ერტობა—სამეფოსა მას დანიისასა არც
სულ კარგათ ყოფილა საქმენი.
ამის ნიშნები არ ახალია—ძველი!

ვერ მიჩვენებთ იმის მაგალითს, რომ
„ჩვენგანი“ „იმათ“ მიეკრებოდეს, მათ-
კენ გადასულიყო. იმათგან კი გადმო-
დიან ჩვენკენ... იფერითენ ფერხთ: მეტერს
და გადმოდიან. მართალია, პირველ ისი-
ნი იყენენ, რო გამოვიდენ ველად, მთა-
ბარად, რკალი შემოაკრეს სოფელ-ქვე-
ყანას, რკინის სალტებით შემოფარგლეს
იგი... ჩვენნი ხსენება არც კი იყო მა-
შინ...

ხოლო, გაგზნდით თუ არა, გაწყდა
რკალი, გაიშალა სალტ-შემოკრული ფარ-
გალი და, მოვიდენ ჩვენკენ, მოდიან,
გაღმოდინან...

შეიძლება, სთქვან:—ხალხი ახალ
ხილს შეუგნებლათ ეტანებოდა... და მო-
ლაღატეს ეტყვიან, რენეგატის სახელით
ნათვლენ, შეუგნებლად უწოდებენ, ვინც
მოგვეცდოდა და უსწაურ შემქმნე გა-
სწყვიტა რკინის სალტო.

კეთილი!... შეგნებულენი ხო იმათ რე-
ბა, შეუგნებელნი, მოლაღატე-რენეგატ-
ბი ჩვენკენ!

და რაღა აწიწებებთ?!

ხალხს კბილი მოკვეთა თქვენმა თაფლ-
შარბათის შეზირებამ. და ის „ახალი ხი-
ლ“—კი ისეთი რამ უსწოა, ისე ეგუება
ხალხის სულსა და გულს, რომ არა ერთ-
ხელ შეგ-წიწებდებოდა სული, გულიც შემო-
გვეყრებოდა და გადმონახვით შხამს, რა-
მელიც თქვენეც უნდა ასწინდოდა... მა-
ლე მონებოც შემოგვეცლებათ და ხელთ
მახარა—მადლენები დაგრჩებოდა. დ.

ქალაქის საბჭოს სხდომა.

18 ნოემბერი.

18 ნოემბერს ქალაქის საბჭოს სხდო-
მას 19 ხმოსანი დაესწრო. თავჯდომა-
რობდა ქალაქის მოურავის მოადგილე
ბ. ნ. მისიძე. წარსული სხდომის ოქმე-
ბის დამტკიცებას შემდეგ, ხმოსანმა მო-
სეშვილმა აღსძრა საკითხი იმის შესახებ,

იგივე იყო, რაც უკრაინელი ხალხისა.
და უკრაინულმა მოძრაობამ ხალ-
ხოსნობამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ
ნახევარში წინ უსწრო ველიკოაროსულსა
და უფრო ღრმა საფუძველი ქონდა, ვიდ-
რე უკანასკნელსა.

ბრძოლა ბატონყმობასთან, თავგამო-
დება გლეხის პიროვნების თავისუფლების-
სათვის იყო საგანა განახლებული უკ-
რაინული ლიტერატურისა მაშინ, რო-
დესაც რუსეთში ბატონყმობის გადადგე-
მა შეიქნა საჭირობოროტო საკითხად. რო-
დესაც ბატონყმობა გადავიდა, უკრაინ-
ელი დემოკრატების მიზანი იყო სახალ-
ხო ლიტერატურის შექმნა და ხალხში
სწავლადგანათლების გავრცელება, მაგრამ
მთავრობა გადავიდა წინ მათ მოღვა-
წეობას. ვალიკის უკრაინაში კი დე-
მოკრატის მუშაობამ დიდი ნაყოფი გა-
მოიღო და მოამზადა პოლიტიკურათ
ხალხი.

და ამ ნიადაგზე დაიბადა და გაიზარდა
უკრაინელთა ახლანდელი პოლიტიკური
პროგრამა: დეცენტრალიზაცია, ეროვ-
ნულ-ტერიტორიული ავტონომია, ფე-
დერალიზმი და დემოკრატია.

უკრაინაში წინათაც, ვიდრე პოლო-
ნეთს შეუერთდებოდა, და შემდეგაც
ხალხი ყოველთვის იღებდა მონაწილეო-
ბას მართვადგებობაში. კაზაკთა ორგანი-
ზაცია, რომელმაც დაფარა მეჩვიდმეტე
საუკუნეში უკრაინის მთელი აღმოსავ-
ლეთი ნაწილი, იყო დაფუძნებული საა-
რჩევნო საფუძველზე და პასუხისმგებლო-
ბაზე. მთავრობა, ადმინისტრაცია, სასა-
მართლო, ეკლესია, სამხედრო მართვა-
გამგეობა, ყველაფერი ხალხის მიერ იყო
არჩეული და ხალხს ემსახურებოდა და,
თუმცა მოსკოვის მთავრობამ მოსპო, მაგ-
რამ ხალხს არ დაეწეებოდა ეს სისტემა.

ჯერ კიდევ 1767 წელს, უკრაინელთა
სხვადასხვა წოდების წარმომადგენლებმა
მოითხოვეს უკრაინის ავტონომიის აღ-
მაზე. 1820 წლებში ჩნდებოდა უკრაინა-
ში ფარული პოლიტიკური საზოგადოე-
ბანი, რომელნიც ისახვენ იმავე მიზანს.
მეორმოცე წლებში ცნობილი „კირილე-

თუ რა თავგასულობას მიჩენენ შკმის სა-
წყობების პატრონები, რომელნიც ზომა-
ში ძლიერ ატყუებენ მეიდველებს, სა-
ენში მეოთხედს აკლებენ. მან საჭიროთ
დანიხა, რომ ქალაქის თვითმართველო-
ბამ მიიღოს რაიმე ზომები ამ თავგასუ-
ლობის ასაღამებლად. საბჭომ დაავალა ქა-
ლაქის გამგეობას, რომ მოიწვიოს შემოთ
მოვერებები და აუტრძალოს სიყალბე.
წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიციის სა-
შეაღებით შეუდგინონ მათ ოქმები და
გადასცენ სასამართლოს. საბჭომ დანა-
რჩენი დრო თითქმის კენჭის ყრას მოა-
ნდომა სხვადასხვა საკითხზე

ბიბლიოთეკის გამგის თანაშემწის თხოვ-
ნა ერთდროული დახმარების შესახებ უყუ-
რადებოდა იქნა დამტკიცებული. ბათუმის
ქართული ეკლესიის სასარგებლოთ გადა-
სდევს 100 მანეთი.

სალორის აგარაკში ახალი სამოსახლო
ადგი რების შემფასებელ კომისიაში აი-
რჩიეს: მიქელაძე, სერ. ბახტაძე, კ. გოცი-
ოძი, ბ. ასათიანი და ბ. მოსეშვილი.
ცეცხლისაგან დამზღვევი ქუთაისის საზო-
გადოების თავჯდომარის მოადგილეთ არ-
ჩეულ იქნა ზაქარია მაქავარიანი. ქალა-
ქის ნაფიც დამფასებლათ ნაცვლათ გა-
დაცვლებულის შარაშისა აირჩიეს სამ-
სონ ჩიკოვანი. ქლექთან მებრძოლის სა-
ზოგადოების განყოფილების გამგეობის
წევრებთან საბჭოს მხრით არჩეულ იქმნა:
დმიტრი ნაზაროვი და ივანე ბოკერია.
საეპარკო საბრეწველო დაწესებულებებში
ნორმალური სავალდებულო დადგენილე-
ბის მეთვალყურეობათ არჩეულ იქნენ: ბ.
ასათიანი, ფ. ფილიპოვი, მ. რუხაძე, ი.
ბეჭაია, ს. ბოკერია, გ. გორაძე, დ.
რუხაძე და ყსლუმოვი.

კოოპერაციის განვითარება.

კოოპერაციული შკოლა.
ქ. მოსკოვში არსებობს ქალაქის სა-
ხალხო უნივერსიტეტი ა. ლ. შანიავსის
სახელობაზე დაარსებული. ამა წლის 23
სექტემბერს ამ უნივერსიტეტთან გაიხსნა
სპეციალური კურსები მომხმარებელ სა-
ზოგადოებათათვის მოსამსახურე პირთა
მოსამზადებლათ.

ასეთი კურსების საჭიროება დიდი ხა-
ნია სცნეს კოოპერაციის მეთაურებამაც და
აღიძრა ამაზე მოლაპარაკება მოსკოვის
მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის
წევრთა შორის.

მეთოდეს ძმობა“, რომლის წევრებთანაც
იყავნ შესანიშნავი მოღვაწენი თანამედ-
როვე უკრაინული მოძრაობისა, ისახავს
მიზნათ სლავთა ქვეყნების ფედერაციას,
რომლის ერთ-ერთი ავტონომიური წევ-
რიც უნდა ყოფილიყო უკრაინა. და ამ
ფედერაციაში არ უნდა ქონოდა ადგილი
არც მონაზონს და არც აზრისა, სიტყვი-
სა და რწმენის შევიწროებას.

ეს წრე განადგურეს. მაგრამ 1870 და
1880 წლებში უკრაინული დემოკრატია
კვლავ უბრუნდება ფედერაციის იდეას.

და ამ ნიადაგზე აღმოცენდა ახლან-
დელი ეროვნული პროგრამა, აღსარებუ-
ლი, როგორც ნაციონალ-დემოკრატიისა,
ავრთვე სოციალისტური პარტიების
მიერ. ამ პროგრამაში შეერთებულია
ეროვნული და სოციალური ელემენტე-
ბი. ნაციონალ-დემოკრატიების მიზანიც ის
არის, მაგალითად, რომ მიწა გადავიდეს
გლეხების ხელში, ე. ი. რომ სახელმწი-
ფომ იყიდოს მიწა დიდ მემამულეთაგან
სამართლიან ფასათ და გადასცეს გლე-
ხებს გლეგვადიან სესხათ.

რაც შეეხება პროგრამის პოლიტიკურ
ნაწილს, ყველა უკრაინული პროგრესიუ-
ლი პარტია აღიარებს ეროვნულ-ტერი-
ტორიულ ავტონომიასა და ფედერა-
ციას, დეცენტრალიზაციის პრინციპის
გატარებას ცხოვრებაში ზევიდან ქვე-
თამდე და ეროვნული უმცირესობის უფ-
ლების უზრუნველყოფას საერთო კანონ-
მდებლობის მიერ.

უკრაინულ მოძრაობასა და პროგრამას
ვერ ურიგდებოდა ერთი მხრით რუსეთისა
და პოლონეთის ბიუროკრატია და თა-
ვად-ზნაურობა, მეორე მხრით ველიკო-
აროსთა მემარცხენე პარტიები. რუსეთის
უდიდესი და უკეთილშობილესი მწერალი
და კრიტიკოსი ბელინსკი უარყოფით შე-
ეგება უკრაინის ეროვნულ პოეტს შევ-
ჩენკოს. და „კირილე-მეთოდეს ძმობის“
განადგურებას მან დაიცნა უძღვანა. შე-
დგევაც ასე იყო. უკრაინელთა მოძრაობა
მეორე ხარისხიან საქმეთ, უბრალო
ჩხრიკედელაობათ მიმართ პროგრესიულ
რუსებს, მხოლოდ საკითხი მუშაობამ მა-

კავშირის რწმუნებულთა კრებაზე 1910
წ. დეკემბერში, პრინციპიალურათ იყო
მიღებული საკითხი, რომ კავშირთან მო-
წყობილიყო მუდმივი შკოლა პრაქტიკუ-
ლი მუშაების მოსამზადებლათ მომხმარე-
ბელ საზოგადოებათათვის.

პირველათ განზრახული იყო, რომ და-
ეწყოთ მეცადინეო 1911 წ. შემოდგო-
მიდან და სამეცადინო პროგრამაც შემუ-
შავდა და წარედგინა კავშირის რწმუნე-
ბულებს 1911 წ. კვირკობისთვეში; მაგ-
რამ, როგორც ახლა კოოპერაციული
ეურნალები, გადმოგვეცენ. მხოლოდ
1913 წ. შემოდგომიდან გაიხსნა აღნიშ-
ნული კურსები 1911 წლის ნაცვლათ
და ამ ხნის განმავლობაში ბევრი ცვლი-
ლებაც ეტობა ამ კურსების მოწყობას.
მის მაგიერათ, რომ კურსები გაშვებთან
მოეწყოთ, ახლა გაიხსნა შინაგვარს უნი-
ვერსიტეტთან.

მოსკოვის მომხმ. საზ. კავშირი ახლა აკ-
ტიურ მონაწილეობას ღებულობს ამ
ახალ საქმეში.

შკოლა აღნიშნ მცოდნე საქმის მწარ-
მოებელ—მონაგარიშებს, საეპაროების
გამგეებსა და ნოქრებს კოოპერაციები-
სათვის. მოსკოვის კავშირის ახლო მონა-
წილეობა როგორც კოოპერაციული სა-
ეპაროების ორგანიზაციისა, სახალხო
უნივერსიტეტთან, სადაც შესანიშნავათაა
დაყენებული საქმე სწავლის მხრით, თავ-
დება იმისა, რომ ამ ორი დაწესებულებ-
ის კავშირი იქნება ნაყოფიერი.

სრულიად რუსეთის კოოპერაციული
კრება ქ. კიევი ძალიან თანაგრძნობით
გამოეხმაურა ასეთი შკოლის ორგანიზა-
ციას, რომელიც საგულისხმო და გაბე-
დული ნაბიჯია არათუ რუსეთისათვის,
თვით ევროპისთვისაც, სადაც აქანდ
ვერ შეუქმნიათ ასეთი ტიპის შკოლა.
კოოპერაციული კრება მოიწვევს ყველა
კოოპერაციის მხარი დაუჭირონ ასეთი
სასარგებლო საქმის დაწყებას. პროცენ-
ტების გადარიცხვით საზოგადოების თან-
ხიდან შკოლის შესანახათ და გასაფარ-
თებლათ, სტიპენდიების დანიშნეთა
და კურსებზე თავის წევრების გაგზავნით
კურსების მოსასწენათ.

საქმე უკვე დაიწყო, ამ ემათ ჯერ
კოოპერაციებზედა, შკოლა გახსნილია,
მასწავლებელ-ლექტორთა ჯგუფი შემდგა-
რია და ახლა საცდელი საეპაროს მო-

ტანყმობის გადავარდნის დროს დაუბ-
ლოვა ისინი მცირეოდნათ ერთმანეთს, და
მაშინ მხურვალე თანაგრძნობა გამოუ-
ცხადეს უკრაინულ მიმართულებას დობ-
რობიუბოვმა, ტურგენევმა, ბაკუნინმა.
ბიუროკრატის ძალადობამ კვლავ
მოსპო უკრაინელთა მოძრაობა და,
როდესაც მათ კიდევ განახლეს მუშაობა
1870 წლებში, ე. ი. დაუბრუნდენ მიტო-
ვებულ გზას, რუსეთის მემარცხენე პარ-
ტიებმა ვერ გაიგეს მათი მიზანი და არ
თანაუგრძნეს. და, ასე გაშინჯეთ, დრა-
გომანოვის ფრთაშეკცილო უკრაინელო-
ბაც კი ვერ მოინდევს.

და ეს მოვლენა აიხსნება, სხვათა
შორის, იმითაც, რომ განათლებულ უკ-
რაინელთა შორის ბევრი იყო ისე-
თი, რომელიც გულწრფელათ უარ-
ყოფდა თავის ეროვნებას, საჭიროთ მია-
ჩნდა თავისი ენისა და ლიტერატურის
გაცვლა რუსულ ენასა და ლიტერატუ-
რასზე.

და სამწუხარო ის არის, რომ რუსულს
პროგრესიულ ელემენტებს უკრაინული
მიმართულების წინააღმდეგ იმგვარივე
საბუთები(?) მოყავსთ, როგორც ბიურო-
კრატისა. მათი თვალსაზრისი ერთია ამ
საკითხში.

და რუსული სოციალდემოკრატია,
რომელიც საზოგადოთ არ თანაუგრძნობს
სხვადასხვა ეროვნულ მიმართულებას,
რასაკვირველია, არ წყალობს კერძოთ
არც უკრაინელებსა, რადგან ვითომ
ეროვნული მოძრაობა ასუსტებს კლასთა
შორის ბრძოლას.

და სხვა ახლანდელს პროგრესიულ
რუსულ პარტიებშიც ვერ მოიპოვა ამ
იდეამ ჯერ შესაფერი ყურადღება და
თანაგრძნობა და უკრაინელთა „ნაციონა-
ლიზმი“ საგინებელ სიტყვათ, „მოვინიზ-
მის, ვიწრო, უსამართლო ეროვნული
თავმოყვარეობის გამომსახველათ შეი-
ქნა.

რაც შეეხება პოლონურ პარტიებს,
მათ სწავლიათ ისტორიული პოლონეთის
აღდგენა და, მასადაამე, უარყოფენ უკრა-
ინის ეროვნულ ტერიტორიულ ავტო-
ნომიას.

წყობას შეუდგნ. სადაც შეიკრებოდა პრა-
ტიკულათ გამოცდილებან წიგნის მოვა-
ლოების შესასწავლათ და. მ. მ. მიღებულია
ზომები საკონსულტაციო მუშაობაში.

მაგრამ უკრაინული მიმართუ-
საჭიროა, ამდენი დახარჯული ფული და
ენერგია, უნაყოფოთ არ დარჩეს. აქამდე
კურსებზე ჩაწერილა 19 ნოქრების გან-
ყოფილებაში და 32 სპეციალურ მონა-
გარიშების კურსებზე. ეს რიცხვი ძლი-
ერ ცოტაა კურსების მომწყობ ორგანი-
ზატორებს გამოანგარიშებული ქონდათ
თითო განყოფილება 50 მსმენელისა-
თვის.

მეტე ნაწილი შეგირდებისა გამოგზავ-
ნილია პროვინციიდან, მაგრამ სამწუხა-
როთ მომხმარებელი კოოპერაციებიდან
ძლიერ ნაკლებია; მხოლოდ რამდენიმე
საზოგადოებას გამოუგზავნია თავისი წევ-
რები და მოსამსახურეები „კურსების მო-
სასწენათ“, მიუხედავთ იმისა, რომ სრუ-
ლიად რუსეთის კოოპერატორთა კურსებ-
ზე გამოითქვა სურვილი, რომ გაგზავნონ
თავისი მოსამსახურეები და წევრები კურ-
სებზე.

თუ აქამდე სულ პრაქტიკოსისა და
მცოდნე პირების უყოლობას გავიძახით,
ახლა მაინც გვეძლევა საშვალეობა, რომ
ამ შკოლით ვისარგებლოთ და მომავლი-
სათვის გამოცდილი კოოპერატორები
გვეყოლოს.

კოოპერატორი.

დებეში.

(მეტ. დეპ. საგ.).

რ უ ს მ ი ი.

კაშინევი. სამხარო ერობამ დახარალო-
ბულ მევენახეთა სასარგებლოთ 125 ათა-
სი მანეთის გადადების შესახებ შვამდგომ-
ლობა აღსძრა.

სტრასნი. ცარიცინამდე გემთა მიმო-
სვლა შესწყდა.

მეტრბუგვი. მდ. ნევა აღიდა და
ქუჩებში გადმოვიდა. ქალაქის ზოგიერთი
ნაწილის მცხოვრებლები სროლით გა-
აფრთხილეს.

პრესის კანონპროექტის კომისია პრო-
ექტის მუშაობრივ განხილვას განა-
გრძობს. კომისიის სხდომას შინაურ საქმე-

ხსენებული ფაქტები, რომელიც წარ-
მოადგენს პროფეს. მ. გრუშევსკის წე-
რილის მოკლე შინაარსს (იხ. ხსენებუ-
ლი კრებული), ასურათებს მალაოროსთა
ისტორიისა და ახლანდელი ცხოვრების
მზავსებას ქართულ ისტორიასთან და
ცხოვრებასთან.

იქაც მოხდა შეერთება ერთ მორწმუნე
ერთან, რომლისგანაც მოელოდენ ხსნას.
ამას მოყვა იმედის გატრუება, შემდეგ
აჯანყებანი, გამარჯვებული პოლიტიკა
და სხ. და ბოლოს აუარებელი რენეგა-
ტი, რომელიც უარყოფს თავის დედა-
ენასა და ლიტერატურას, რუსეთის პრა-
გრესიული პარტიების მიერ არ შეწყნარება
და სასაცილოთ აგდება ეროვნული მიმა-
რთულებისა და სხ.

მხოლოდ ერთი დიდი განსხვავებაა.
არ არის არცეთი უკრაინული დემოკრა-
ტიული პარტია, არც ხალხოსური და
არც სოციალისტური, რომ უარყოფდეს
უკრაინის ეროვნულ-ტერიტორიულ
ავტონომიას. ჩვენებულნი „დასიგებნი“ კი
იმდენათ გადაგვარებული და დამონებუ-
ლი არიან რუსეთის სოციალდემოკრატიის
მიერ, რომ ვერ გაბედეს და ვერ უწოდეს
თავს ქართული სოციალდემოკრატია, და
არათუ უარყოფენ საქართველოს ავტო-
ნომიას, არამედ ცდილობენ დაარწმუნონ
გულუბრყვილონი, ვითომ საქართველო
აღარც კი იყოს, და, რომ ხალხს არ ღე-
არება ავტონომია, დღემდე სიტყვითა
და კალმით სულ იმას ქადაგებდენ, ავ-
ტონომია ბატონყმობას მოასწავებს.

მხოლოდ ახლა დაპირეს გალობა სხვა
მანგზე, ე. ი. აღარ ამტკიცებენ ავტონო-
მიისა და ბატონყმობის იგივეობას და
მხოლოდ ამბობენ: რათა უნდა გვინდა
ავტონომია, როდესაც აღარც კია საქარ-
თველომ? და ავტონომიის ნაცვლათ
ცდილობენ შემოგვავიკუთვნონ და შემო-
გვაპარონ ავტონომიის სახელით ისეთი
რამე, რაც ჯერ არსად და არაოდეს არ
ყოფილა და არც ოდესმე იქნება.

ნესტარი.

(შემდეგი იქნება)

